ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25) 13 ივნისი 2013 წელი

ბრძანება №166

ზაზა შოშიტაიშვილთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის და „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილ იქნეს ზაზა შოშიტაიშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2. ბრძანებას თან ერთვის ზაზა შოშიტაიშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

3. ბრძანება გამოქვეყნებისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

4. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზაზა შოშიტაიშვილთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 9 იანვრის №20 ბრძანება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer

შრომითი ხელშეკრულება

ქ. ოზურგეთი 13 ივნისი 2013 წელი

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც წარმოდგენილია თავმჯდომარის ბატონ ალეკო მამეშვილის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“) და მეორეს მხრივ ზაზა შოშიტაიშვილი მცხოვრები ქ.ოზურგეთის ნიკო ნიკოლაძის ქ. №54-ში შემდგომში „დასაქმებული“ ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი

„დამსაქმებელი“ (მუნიციპალიტეტის საკრებულო) დებს შრომით ხელშეკრულებას ზაზა შოშიტაიშვილთან, რათა იგი აყვანილ იქნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე 2013 წლის 13 ივნისიდან.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა

2.1. „დამსაქმებელი“ ვალდებულია დაასაქმოს „დასაქმებული“ იმ სამუშაოთი, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

2.2. შეუქმნას „დასაქმებულს“ სათანადო პირობები და უზრუნველყოს მისი ტექნიკური უსაფრთხოება.

2.3. „დამსაქმებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „დასაქმებულს“ შინაგანაწესისა და შრომის დისციპლინის დაცვა.

2.4. „დასაქმებული“ ვალდებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოადგინოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჭირო დოკუმენტაცია.

2.5. „დასაქმებული“ ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სამუშაოზე, შეასრულოს მასზედ დაკისრებული მოვალეობა და დაიცვას შინაგანაწესი.

2.6. „დასაქმებული“ ვალდებულია შეასრულოს ადმინისტრაციის მოთხოვნები და ბრძანებები.

2.7. „დასაქმებული“ უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებში მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება.

2.8. ისარგებლობს შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში. დასვენებითა და უქმე დღეებით, ამასთანავე ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ანაზღაურების ოდენობა და ვადები

„დასაქმებულს“ ყოველთვიურად მიეცემა 420 ლარი ხელფასის სახით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 13 ივნისიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2. ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაშვებია შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4.4. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 5. დამატებითი პირობები

„დასაქმებულ“ პირს არა აქვს უფლება საჯარო გახადოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ზეგავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაზე და იმიჯზე.

მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები

„დამსაქმებელი“	*„დასაქმებული“*
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1	ქ.ოზურგეთის ნიკო ნიკოლაძის ქუჩა ქ. №54 მცხ. ზაზა შოშიტაიშვილი

მუხლი 7. ხელმოწერები

მხარეები ხელშეკრულებას ადასტურებენ ხელმოწერით და შედგენილია ორ ეგზემპლარად თითო ცალი მხარეთათვის.

„დამსაქმებელი“	*„დასაქმებული“*
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
ალეკო მამეშვილი	**ზაზა შოშიტაიშვილი**

Created by free version of DocuFreezer